2018 წლის 13 მარტი
Office of the Compliance Advisor Ombudsman (CAO)

შესაბამისობის შეფასება: შედეგების შეჯამება

ტრანს-ანატოლიის მილსადენი (MIGA-ს პროექტი#13661), საჩივარი 01
საქართველო

2017 წლის მარტში, CAO-ში შემოვიდა *Enka İnşaat ve Sanayi A.Ş.*(ENKA)-ის (კომპანია, რომელიც საქართველოში სამხრეთკავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტის (SCPX) მშენებლობას ახორციელებს) ყოფილი თანამშრომლის ("მომჩივანი") საჩივარი. MIGA აღიარებს, რომ სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების პროექტი SCPX არის თურქეთში, ანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენის (TANAP) პროექტთან დაკავშირებული ობიექტი. MIGA მოლაპარაკებებს აწარმოებს სამხრეთის გაზის კორიდორის დახურული სააქციო საზოგადოებისთვის (SGC) (TANAP-ის ერთ-ერთი აქციონერი) კრედიტის გამმცემი კომერციული ბანკებისთვის გარანტიის პირობების ირგვლივ.

მომჩივანი შეშფოთებულია საქართველოს ტერიტორიაზე, ვალეში წნევის შემცირების გამო, ამასთანავე, აღრიცხვის სადგურზე (ობიექტი 81) სამუშაო პირობებსა და სამუშაო ადგილზე პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ მისი განთავისუფლება სამუშაოდან მოხდა უსამართლოდ.

2018 წლის იანვარში საქმე გადაეცა CAO-ს შესაბამისობის შეფასების ფუნქციას. CAO-ს შესაბამისობის შეფასების მიზანია უზრუნველყოს, ის რომ შესაბამისობის შემსწავლელი გამოძიება დაიწყოს მხოლოდ იმ პროექტებთან მიმართებით, რომლებშიც შეშფოთებას იწვევს გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები ან / და იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც MIGA-სთვის სისტემური მნიშვნელობისაა. გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტისას, CAO-მ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის უნდა შეაფასოს საჩივარში აღწერილი გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემის მასშტაბი, ასევე MIGA-ს გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციონირების წინასწარი განხილვის შედეგებიც, გასათვალისწინებელია MIGA-ს მოთხოვნების ადეკვატურობასთან კითხვის ნიშნების არსებობა, და უფრო ზოგადი შეფასება იმისა, თუ რამდენად შესაფერისი იქნება რეაგირების სახით შესაბამისობის დამდგენი გამოძიების ჩატარება.

SCPX-სა და TANAP-ის მფლობელობის სტრუქტურის გათვალისწინებით, CAO-ს აქვს გარკვეული კითხვები იმ ანალიზის საფუძვლიანობასთან, რომლებმაც MIGA ამ დასკვნამდე მიიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის ანგარიშის მიღმა მტკიცებულებები შეზღუდულია, ეს საკითხები პოტენციურად სისტემური და არსებითი ხასიათისაა.

SCPX-ი MIGA-ს მიერ აღიარებულია როგორც TANAP-თან პროექტთან დაკავშირებული ობიექტი, რომელზეც მათ გარანტიის გაცემის ნებართვა აქვთ. თუმცა, MIGA -მ დაადგინა, რომ მისი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები არ ვრცელდება SCPX -ზე. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ დასკვნას, რომ SCPX-ს ხელმძღვანელობენ მესამე მხარეები, რომლზედაც TANAP-ს ოპერატიული კონტროლის ბერკეტი არ გააჩნია. SCPX-ისა და TANAP-ის საკუთრების სტრუქტურების გათვალისწინებით, CAO-ს აქვს კითხვები იმ ანალიზის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე MIGA-მ ეს დასკვნა გამოიტანა.

მეტიც, მომჩივანის მიერ მოხსენიებული პრობლემები წარმოშვა მანამ, სანამ MIGA პროექტის გარანტიას გასცემდა და ისიც, რომ არსებული მტკიცებულებები არ მიუთითებს იმაზე, რომ სავარაუდო ზემოქმედება წარმოადგენს სისტემური ხასიათის პრობლემას და მესამე მხარისთვის იმდენად სერიოზულ რისკს შეიცავს, რომ ამის საფუძველზე MIGA-მ თავი შეიკავოს შეთავაზებული პროექტის მხარდაჭერისგან. ასეთ ვითარებაში, CAO -მ დაადგინა, რომ შესაბამისობის დამდგენი გამოძიების ჩატარება ვერ იქნება სათანადო რეაგირება.

ამიტომაც CAO-მ გადაწყვიტა არ დაიწყოს შესაბამისობის დამდგენი გამოძიება ამ საჩივრზე საპასუხოდ. დასკვნის მისაღწევად, CAO ადგენს შემდეგს: პირველი, ის რომ სამშენებლო სამუშაოები, რომელიც საჩივრის საგანს წარმოადგენს, დასრულებულია და ENKA აღარ მუშაობს SCPX-ზე. მეორე, მომჩივანმა ეს საკითხები დააყენა ჯერ კიდევ მაშინ, როცა MIGA-ს პროექტის გარანტია გაცემული არ ჰქონდა. და მესამეც, რომ არსებული მტკიცებულებები არ მიუთითებს იმაზე, რომ სავარაუდო შედეგები უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც MIGA-მ თავი უნდა შეიკავოს შემოთავაზებული პროექტის მხარდაჭერისაგან მესამე მხარისათვის შესაძლო რისკის საფუძველზე. ასეთ ვითარებაში, CAO-მ დაადგინა, რომ შესაბამისობის გამოძიებისობის დამდგენი გამოძიება არ იქნებოდა სწორი რეაგირება.

CAO-ს შესახებ

შესაბამისობის მრჩეველთა ომბუდსმენის ოფისი (CAO) დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც აგნარიშვალდებულია უშუალოდ მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის წინაშე. CAO განიხილავს იმ საჩივრებს, რომელიც შემოდის იმ თემებიდან, რომლებიც უარყოფით გავლენას განიცდიან მსოფლიო ბანკის ჯგუფის, კერძო სექტორისთვის კრედიტის გამცემი ორი განშტოების-საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) და მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიის სააგენტოს (MIGA)-მიერ განხორციელებული განვითარების პროექტების მხრიდან.

CAO-ს მისია მოქმედებს, როგორც საჩივრების განხილვის სამართლიანი, სანდო და ეფექტური დამოუკიდებელი მექანიზმი და ამით უწყობს ხელს IFC-სადა MIGA-ას გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების შესრულებას.

CAO აქვს სამი უნიკალური და ურთიერთშემავსებელი ფუნქცია : დავების გადაწყვეტა, შესაბამისობა და მრჩევლობითი, რაც ერთობლიობაში ქმნის მოქნილ ჩარჩოს მოქალაქეების მხრიდან საჩივრების განხილვისა და IFC-ისადა MIGA-ს პროექტებთან დაკავშირებული სისტემური ხასიათის საკითხების გადასაჭრელად.

CAO-ოს შესაბამისობის ფუნქციის შესახებ

CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია უზრუნველყოფს IFC-სა და MIGA-ს ინვესტიციების ზედამხედველობას ამ ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით.

შესაბამისობის ფუნქცია აქტიურდება მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე ირჩევს მას CAO-ს მიერ საჩივრის შეფასების შემდეგ, ან თუ დავების გადაჭრის პროცესის შედეგად ვერ მოხდება მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა. შესაბამისობის ფუნქცია ასევე შეიძლება ინიცირებული იქნას CAO ვიცე-პრეზიდენტის მიერ, მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის ან IFC / MIGA -ის მაღალი რანგის ხელმძღვანელობის მიერ.

შესაბამისობის გამოძიების შედეგად, CAO-ს შეუძლია დაადგინოს, რომ აუცილებელია IFC -ისან MIGA-ს მიერ განხორციელებული ქმედებების მონიტორინგი, მანამ სანამ CAO არ დარწმუნდება, რომ მის მიერ დადგენილ შესაბამისობასთან დაკავშირებული პრობლემებთან მიმართებით მიღებულია სათანადო ზომები.[1]

CAO-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ ეწვიოთ www.cao-ombudsman.org.

CAO-ს ანგარიშები ითარგმნება გამოგზავნილი საჩივრის ენაზე ან დაზარალებული ადამიანების მშობლიურ ენაზე. ანგარიშის ორიგინალი ინგლისურ ენაზეა. გადათარგმნილ ვარიანტსა და დედანს შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ დედანს ენიჭება.

[1] CAO-ს საოპერაციო ინსტრუქციები, 2013, პარგრაფი 4.4.6.

სარჩევი

აკრონიმები **5**

I. შესაბამისობის შეფასების პროცესის მიმოხილვა **6**

II. საკითხის წინა ისტორია **7**

საჩივარი 7

პროექტი 8

შეფასების მეთოდოლოგია 9

III. ანალიზი **9**

საჩივარში დაყენებული საკითხები 9

კომპანიის ხედვა 11

MIGA-ს გარანტია 12

ნახატი 1: MIGA-ს გარანტიის კონტექსტი TANAP-თან, SCPX-თან& ENKA-სთან მიმართებით 13

MIGA-ს პოლიტიკა მესამე მხარეებთან ასოცირებულ სუბიექტებთან მიმართებით 14

MIGA-სგ&ს-ის სათანადო შესრულების მიმოხილვა 15

IV. CAO-ს დასკვნა **17**

აკრონიმები

აკრონიმი	განსაზღვრება
AzSCP	შპს. აზერბაიჯანის სამხრეთ კავკასიის სადენი.
BEJV	ერთობილივი საწარმო ბექტელ-ენკა
BOTAŞ	*Boru Hatları İle Petrol Taşıma Anonim Şirketi* [BOTAŞ ნავთობსადენის კორპორაცია]
BP	ბრითიშ პეტროლეუმი
CAO	შესაბამისობის დამდგენი მრჩეველი ობმუცმენის სამსახური
E&S	გაერმოსდაცვითი და სოციალური
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
EIB	ევროპის საინვესტიციო ბანკი
ENKA	*Enka İnşaat ve Sanayi A.Ş.* [ენკა მშენებლობა და მრეწველობა ინკ.]
ESIA	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESMS	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სიტემები
ESRS	გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის შეჯამება
GoA	აზერბაიჯანის მთავრობა
IBRD	რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუცია
MIGA	მრავალმხრივი ინვესტირების საგარანტიო სააგენტო
OHS	პროფესიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
PAD	პროექტის შეფასების დოკუმენტი
PS	ფუნქციონირების სტანდარტი
SCPX	სამხრეთ კავკასიის სადენის გაფართოება
SD2	შაჰ დენიზის ეტაპი 2
SGC	სამხრეთის გაზის კორიდორი, დახურული სააქციო კომპანია
SOCAR	აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია
TAP	ტრანს-ადრიატიკის სადენი
TANAP	ტრანს-ანატოლიის ბუნებრივი გაზის სადენი
TPAO	*Türkiye Petrolleri Anonim Ortaklığı* [თურქეთის ნავთობის კომპანია]
WBG	მსოფლიო ბანკის ჯგუფი

I. შესაბამისობის შეფასების პროცესის მიმოხილვა

როდესაც CAO იღებს საჩივარს IFC-ისან MIGA-ას პროექტის შესახებ, საჩივარი იგზავნება შეფსებისთვის. თუ CAO-მ დაადგინა, რომ მხარეებს არ სურთ ან არ შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა ფასილიტაციის მეშვეობით, საქმე გადაეცემა CAO-ს შესაბამისობის დამდგენ სამსახურს შეფასების და პოტენციურად გამძიების ჩატარების მიზნით.

შესაბამისობის დადგენის შეფასება შეიძლება დაიწყოს CAO-ს ვიცე-პრეზიდენტის, IFC / MIGA-ს მენეჯმენტის ან მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტის ინიცირების შედეგად.

ის შეეხება IFC-ის ყველა ბიზნეს საქმიანობას, რეალური სექტორის, ფინანსური ბაზრების და საკონსულტაციო სექტორის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ CAO ასკვნის, რომ მხარეები არ არიან მზად ან ვერ შეძლებენ გამარტივებული გადაწყვეტილების მიღებას, საქმე გადაეცემა CAO-ს შესაბამისობის ფუნქციას შეფასებისა და პოტენციური გამოძიებისათვის.

CAO-ს შესაბამისობის ფუნქციის აქცენტი კეთდება IFC-სადა MIGA -ზე და არა მათ კლიენტზე. ეს ეხება IFC-ის ყველა ბიზნეს საქმიანობას, მათ შორის რეალურ სექტორს, ფინანსურ ბაზრებსა და საკონსულტაციო სფეროს. CAO აფასებს იმასაც, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი IFC / MIGA -ის მხრიდან მათი ბიზნეს საქმიანობის ან კონსულტაციების გამართული ფუნქციონირება, და ასევე შეესაბამება თუ არა ბიზნესაქტივობის ან კონსულტაციების შედეგები პოლიტიკის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ დებულებებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პროექტის ფუნქციონირების შეფასებისას და IFC -ის / MIGA-ს მიერ საჭირო ღონისძიებების განხორციელება შესაბამისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, აუცილებელი იქნება, რომ CAO-მ ადგილზე მოახდინოს კლიენტის საქმიანობის და შედეგების გადამოწმება.

იმისათვის, რომ გადაწყდეს, საჭიროა თუ არა შესაბამისობის დამდგენი გამოძიება, CAO-მ უნდა ჩაატაროს შესაბამისობის შეფასება რომლის მიზანია, უზრუნველყოს ის, რომ შესაბამისობის შემსწავლელი გამოძიება დაიწყოს მხოლოდ იმ პროექტებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიან გარემოსდაცვითი და / ან სოციალური შედეგების კუთხით და / ან სისტემური მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს IFC / MIGA-სთვის.

შესაბამისობის შეფასების პროცესის წარმართვისათვის CAO რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს იყენებს. ეს კრიტერიუმები გვიჩვენებს, თუ რამდენად მიზანშეწონილია შესაბამისობის გამოძიების ჩატარება, რადგან CAO-ს მიზანია განსაზღვროს არსებობს თუ არა შემდეგი:

- მტკიცებულება პოტენციურად მნიშვნელოვანი მიმდინარე ან სამომავლო უარყოფითი ზეგავლენების შესახებ გარემოზე და / ან სოციალურ მდგომარეობაზე.
- იკვეთება თუ არა იმის ნიშნები, რომ პოლიტიკის ან შეფასების სხვა კრიტერიუმები არ იყო დაცული ან სათანადოდ გამოყენებული IFC / MIGA-ს მიერ.
- მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ IFC-ს / MIGA-ს დებულებები, მიუხედავად იმისა, დაცული იქნა თუ დაირღვა ისინი, ვერ უზრუნველყოფს დაცვის ადეკვატურ დონეს.

შეფასების ჩატარებისას, CAO ითანამშრომლებს IFC / MIGA-ს გუნდთან, რომელიც ასოცირებულია კონკრეტულ პროექტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, იმის

დასადგენად თუ, რომელი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა IFC / MIGA, რათა დარწმუნებულიყო პროექტის სათანადო ფუნქციონირებაში; როგორ უზრუნველყოფდა IFC / MIGA ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობისას; როგორ ადგენდა IFC / MIGA, რომ ეს დებულებები უზრუნველყოფდა დაცვის სათანადო/ადექვატურ დონეს და, ზოგადად, არის თუ არა შესაბამისობის დამდგენი გამოძიება სათანადო რეაგირება. შესაბამისობის დამდგენი შეფასების დასრულების შემდეგ, CAO-ს შეუძლია დახუროს საქმე ან დაიწყოს IFC -ის ან MIGA-ს მიმართებაში შესაბამის დამდგენი გამოძიება.

შესაბამისობის შეფასების დასრულების შემდეგ CAO წერილობით ანგარიშს წარუდგენს IFC / MIGA-ს, მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს და საბჭოს. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისობის შეფასების საჭიროება წარმოიშვა CAO-ს დავების გადაწყვეტის დეპარტამენტიდან საქმის გადმოცემის საფუძველზე, მოსარჩელეს ამის შესახებაც წერილობით ეცნობება. ყველა შეფასების შედეგი საჯარო გახდება. თუ შესაბამისობის შეფასების შედეგად, CAO გადაწყვეტს შესაბამისობის გამოძიების დაწყებას, CAO მოამზადებს შესაბამისობის დამდგენი გამოძიების ტექნიკურ დავალებას მისი სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

II. საკითხის წინა ისტორია

<u>საჩივარი</u>

2017 წლის მარტში, CAO-ში შემოვიდა *Enka İnşaat ve Sanayi A.Ş.* (ENKA)-ის (რომელიც წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების (SCPX) მშენებლობის პროექტის, Bechtel-Enka Joint Venture-ის (BEJV) ნაწილს) ყოფილი თანაშრომლის საჩივარი ("მომჩივანი").

მომჩივანი უკმაყოფილებას გამოთქვამს პროფესიული ჯანმრთელობის, სამუშაო პირობების და უსაფრთხოების შესახებ წნევის შემცირების და გაზომვის სადგურზე ,ობიექტი 81, ვალეში, საქართველო, თურქეთის საზღვართან ახლოს. მომჩივანი ENKA-ს მიერ 2016 წლის ივნისიდან 2017 წლის იანვრამდე იყო დასაქმებული, მაშინ როცა 81-ე ობიექტს BEJV მართავდა. მომჩივანი მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება უსამართლოდ შეწყდა, და რომ ENKA-ს მისი 215.5 ლარის ოდენობის (დაახლოებით 80 აშშდოლარი) დავალიანება აქვს გადაუხდელი ხელფასის სახით.

CAO -მ სარჩელი წარმოებაში მიიღო და 2017 წლის მაისში წამოიწყო შეფასების პროცესი. CAO-ს მიერ შეფასების პერიოდი 2018 წლის იანვარში დასრულდა; აღინიშნა, რომ მომჩივანმა გამოხატა დაინტერესება ENKA, BEJV და / ანბრიტანული Petroleum (BP) -თან პრობლემის გადაჭრის პროცესში მოწანიწილეობის მიმართ, თუმცა ამ კომპანიებმა პროცესში [2] ჩართვაზე უარი განაცხადეს. ამიტომაც *საოპერაციო ინსტრუქციების* შესაბამისად საქმე გადაეცა, CAO-ს შესაბამისობის დამდგენ მექანიზმს.[3]

[2] CAO. *2018.საქართველო / ტრანსანატოლიის სადენი-01/ვალე.*ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KrdHhe.
[3] CAO. 2013. *პრაქტიკული რეკომენდაციები.* ხელმისაწვდომია: https://goo.gl/tiSGqs.

<u>პროექტი</u>

MIGA აღიარებს რომ სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოების (SCPX) პროექტი არის თურქეთში, ანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენის (TANAP) პროექტთან ასოცირებული მექანიზმი.[4]81-ე ობიექტი კი SCPX-ის პროექტის ნაწილია. TANAP-ის პროექტი სამხრეთ გაზის დერეფნის ნაწილია, რომელიც აშენებულია შაჰ-დენიზის საბადოდან ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისათვის თურქეთის გავლით აზერბაიჯანიდან ევროპაში. სამხრეთ გაზისკორიდრი შედგება რამდენიმე ინდივიდუალური პროექტისაგან:

- ბაქოს სამხრეთით მდებარე სანგაჩალ ტერმინალი, აზერბაიჯანი, განვითარდა ორ ეტაპად: ადრეული ნავთობპროდუქტი და სანგაჩალის ტერმინალის გაფართოების პროგრამა[5]
- აზერბაიჯანში,• ბაქოს სამხრეთ-აღმოსავლეთით შაჰ-დენიზის გაზის მოპოვება, ორ ეტაპად განვითარდა: შაჰ-დენიზის პირველი და შაჰ-დენიზის მეორე ეტაპი (SD2)[6]
- სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP), რომელიც იწყება აზერბაიჯანში და გრძელდება საქართველოს გავლით თურქეთის საზღვრამდე
- სამხრეთკავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტი (SCPX), რომელიც მოიცავს აზერბაიჯანის მასშტაბით ახალი მილსადენის გაყვანას და საქართველოში ორი ახალი კომპრესორი სადგურის მშენებლობას[7]
- ტრანს-ანატოლიის ბუნებრივი გაზის მილსადენი (TANAP), რომელიც გადის საქართველოს საზღვრიდან თურქეთის გავლით საბერძნეთის საზღვრამდე
- ტრანს-ადრიატიკის მილსადენი (TAP) გაზსადენი საბერძნეთის და ალბანეთის გავლით სამხრეთ იტალიამდე

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (IFI) მხარს უჭერენ სამხრეთ გაზის დერეფნის ზოგიერთ პროექტს, მათ შორის TANAP-ს. 2016 წლის დეკემბერში რეკონსტრუქციისა დაგანვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) აღმასრულებელმა დირექტორებმა და MIGA-ს დირექტორთა საბჭომ ერთობლივად დაამტკიცა IBRD -ის მიერ შემოთავაზებული სესხის პროექტი და MIGA-ს მიერ TANAP-ის პროექტისთვის შემოთავაზებული გარანტია. [8]SCPX არ არის მხარდაჭერილი რომელიმე IFI-ის მიერ.

---

[4] MIGA. 2017. *გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმოხილვა: TANAP-ის პროექტი / თურქეთი*(2016 წლის 14 ოქტომბერი, განახლდა 2017 წლის 9 მაისს). ხელმისაწვდომია:https://goo.gl/fe88Fw.

[5]ბრითიშ პეტროლიუმი British Petroleum (BP). დაუთარიღებელი. "შანგაჩალის ტერმიანლი." ხელმისაწვდომია: https://goo.gl/6HoZZi.

[6] BP. დაუთარიღებელი. "შაჰ-დენიზი. პირველი ეტაპი" ხელმისაწვდომია: https://goo.gl/QeMSvQ; BP. დაუთარიღებელი. "შაჰ-დენიზ. მეორე ატაპი." ხელმისაწვდომია: https://goo.gl/dbfPqQ.

[7] BP აზერბაიჯანი. დაუთარიღებელი. "სამხრეთ კავკასიის ნავთობსადენი." ხელმისაწვდომია: https://goo.gl/aRRTCj.

[8] *რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის შეფასების დოკუმენტი „სამხრეთის გაზის კორიდორის დახურული სააქციო საზოგადოებისთვის, აზერბაიჯანის მთავრობის გარანტიით გამყარებული, 400 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის და ტრანს-ანატოლიის ბუნებრივი გაზის სადენის პროექტის (2016 წლის 22 ნოემბერი) 6ტ განხორციელების მიზნით, გაზის დახურული სააქციო საზოგადოებისთვის Boru Hatlari İle Petrol Taşima Anonim Şirketi-ისთვის, თურქეთის მთავრობის გარანტიით გამყარებული 400 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტის შესახებ. Anonim Şirketi ტრანსანატოლიური ბუნებრივი გაზის სადენის პროექტისთვის თურქეთის რესპუბლიკის გარანტია, 2016 წლის 22 ნოემბერი.*.https://goo.gl/FiHbTB.

ამ მოხსენების წერის დროს, MIGA მოლაპარაკებებს აწარმოებდა მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული გარანტიის პირობების თაობაზე იმ კომერციული ბანკებთან, რომლებსაც უნდა გაეცათ კრედიტები სამხრეთის გაზის კორიდორის დახურული სააქციო საზოგადოებისთვის (SGC) (აზერბაიჯანული ერთობლივი საინვესტიციო კომპანია, რომელიც აკონტროლებს TANAP-ის პროექტს). SGC-ი წარმოადგენს აზერბაიჯანის მთავრობის ეკონომიკისა და მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის (SOCAR) ერთობლივ საინვესტიციო კომპანიას. MIGA მიიჩნევს, რომ TANAP -ის პროექტი მაღალი რისკის მატარებელია (ეკოლოგიური კატეგორია A). [9] ვალეში, SCPX-ის 81-ე ობიექტი უკვე იყო ექსპლუატაციაციაში გაშვების ფაზაში. შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოები დასრულებული იყო და ENKA აღარ იყო ჩართული SCPX პროექტის განხორციელებაში.

<u>შეფასების მეთოდოლოგია</u>

წინამდებარე შესაბამისობის შეფასება ეფუძნება CAO-ს მიერ მომზადებული შეფასების ანგარიშის მიმოხილვას, MIGA-ს დოკუმენტებს, TANAP-ისა და SCPX-ის პროექტების შესახებ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე CAO-ს, მომჩივანსა და MIGA-ს შორის საკითხის განხილვებს. ანგარიშში განხილულია MIGA-ს პროფესიული მოვალეობის სათანადოდ შესრულების საკითხი კომერციული ბანკებისთვის მის მიერ გარანტიის მომზადების პროცესში, მისი ურთიერთკავშირი IBRD-ის პროექტის წესების დაცვასთან, და მისი გადაწყვეტილება MIGA-ს პოლიტიკის ზემოქმედების მასშთაბთან დაკავშირებით. ქვემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს MIGA-ს შეხედულებებს.

III. ანალიზი

<u>საჩივარში დაყენებული საკითხები</u>

მომჩივანი ამტკიცებს, რომ სამხრეთ კავკასიის გაფართოების პროექტის 81-ე პუნქტზე, ვალეში, ადგილი აქვს ქვემოთ ჩამოთვლილ OHS-ს ოქმებისა და უსაფრთხოების წესების სისტემურ დარღვევებს:

დასაქმების პირობები

- **თანამშრომლების არაკვალიფიციურობა.** მომჩივანს მიაჩნია, რომ იგი დაიქირავეს და დაარეგისტირეს როგორც ფოლადის მემონტაჟე, ხოლო ამუშავებენ როგორც კრანის რიგერს და ამ თანამდებობის შესაბამის ხელფასს უხდიან. მომჩივანი ამტკიცებს, რომ სხვა მუშებიც არ ფლობდნენ სათანადო კვალიფიკაციას.
- **საათების არასწორი აღრიცხვა და ზეგანაკვეთურ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.** მომჩივანი მიიჩნევს, რომ მუშები ვალდებულნი იყვნენ ემუშავათ გახანგრძლივებულ ცვლებში ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში.მომჩივანი ამტკიცებს, რომ ამან გამოიწვია მუშების უკიდურესი გადაღლა. მომჩივანი აგრეთვე ამტკიცებს, რომ ზოგჯერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისთვის კომპენსაციაც კი

[9] MIGA.*დაუთარიღებელი. მოკლე ინფორმაცია შეთავაზებული გარანტიის შესახებ: ტრანსანატოლიის სადენი.* ხელმისაწვდომია: https://goo.gl/S8GwJa.

არ იყო სათანადოდ გათვლილი. მომჩივანი აცხადებს, რომ მუშები, რეპრესიების შიშით, ვერ გამოთქვამდნენ პრეტენზიას ხანგრძლივი სამუშაო დღის გამო.

- **დისკრიმინაცია ხელფასებში.** მომჩივანი ამტკიცებს, რომ თურქი მუშები გაცილებით მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ, ვიდრე ანალოგიურ პოზიციაზე დასაქმებული ქართველი მუშები. ის ასევე აცხადებს, რომ კომპანიაში სამუშაო პოზიციების უმეტესობა მხოლოდ თურქი მუშებისთვისაა განკუთვნილი.
- **დასაქმების უსამართლო შეწყვეტა.** მომჩივანი მიიჩნევს, რომ ENKA არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს დასაქმების შეწყვეტისას და წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე ათავისუფლებს სამსახურიდან დასაქმებულებს.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

- **სწავლების არარსებობა.** მომჩივანი ამტკიცებს, რომ ამწეკრანებზე მომუშავე რიგერებს არ გაუვლიათ სათანადო მომზადება (მაგ.,მეკაუჭე, მესიგნალე, სიმაღლეზე მომუშავე) და რომ პერსონალი გამოუცდელი იყო.

- **აღჭურვილობის არასათანადო მოვლა-პარტონობა.** მომჩივანი აცხადებს, რომ ამწეკრანების და რიგერული აღჭურვილობის ინპექტირება სრულყოფილად არ ხორციელდება და სრულდება არაკვალიფიციური სპეციალისტების მიერ. მომჩივანი აცხადებს, რომ მას და სხვებსაც ამის გამო დენმა დაარტყა.

- **სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების წესების დარღვევა.** მომჩივანი ამტკიცებს, რომ ამწეებზე რიგერული სამუშაოები მეტწილად მანუალურად მიმდინარეობდა -ხშირად, სათანადო აღჭურვილობის გარეშეც (კიბეების ჩათვლით) და ზოგჯერ უკიდურეს კლიმატურ პირობებშიც კი. მომჩივანი ასევე აცხადებს, რომ ამწე კრანებზე მომუშავე რიგერების რიცხვი ძალზე მცირე იყო.

- **მომუშავე პერსონალისთვის არაადეკვატური ობიექტები.** მომჩივანი მიიჩნევს, რომკაფეტერია ძალიან მცირე ზომის იყო მუშების რაოდენობასთან შედარებით, რის გამოც მუშებს უწევდათ სადილის დროს შეუსაბამოდ დიდი დროს გატარება რიგში. მომჩივანი ასევე მიიჩნევს, რომ საკვების ხარისხიც დაბალი იყო.

მომჩივანის მიერ წამოჭრილი საკითხები მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფით გავლენას და რომ ეს შეიძლება სისტემურ ხასიათსაც ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის მიერ მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობა მინიმალურია, მომჩივანი აღნიშნავს, რომ ის შეშფოთებულია არაიმდენად გადაუხდელი თანხის გამო, არამედ დისკრიმინაციის ინსტიტუციური ფორმებისა და საშიში სამუშაო პრაქტიკის გამო. მომჩივანი ამტკიცებს, რომ ეს საკითხები ეხება სხვა თანამშრომლებსაც, რომლებიც პრეტენზიას არ გამოთქვამენ რადგან შიშობენ, რომ ეს საფრთხეს შეუქმნის მათ დასაქმებას, რაც წარმოადგენს მათ საარსებო წყაროს.

კომპანიის ხედვა

შეფასების პროცესის დროს, CAO-ს დავების განხილვის ჯგუფი შეხვდა SGC-ს, BP-სდა BEJV-ს საჩივრთან დაკავშირებით მათი ხედვის დასადგენად.[10]

SGC-მ აღნიშნა, რომ მას SCPX-ზე კონტროლი არ გააჩნია და რომ ENKA -თან არასოდეს უთანამშრომლიათ. BP-მ აღნიშნა, რომ საქართველოში, ვალეში, 81-ე ობიექტზე სამშენელო კონტრაქტორი. BEJV იყო, ხოლო BP-ი იყო SCPX-ის ტექნიკური ოპერატრი. BP-მ ობიექტის ფუნქციონირებაზე პირდაპირი კონტროლი BEJV-ისაგან მაშინ გადმოიბარა, როდესაც ობიექტი მშენებლობის ფაზიდან ექსპლუატაციაში გაშვების ფაზაში გადადიოდა. BP განმარტავს, რომ CAO-ს შეფასების დროს სამშენებლო სამუშაოები 81-ე ობიექტზე არსებითად დასრულებული იყო.

BP-მ ასევე აღინიშნა, რომ BEJV-ის კონტროლის ქვეშ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დროს, 81-ე ობიექტზე უსაფრთხოების წესები კარგად იყო დაცული. BP-ი აკონტროლებდა BEJV-ის მიერ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვას ისეთი პარამეტრების მონიტორინგის მეშვეობით, როგორიცაა :სამუშაო დღეების გაცდენა, ჩანაწერები ტრავმის მიღების შესახებ, და სხვა ინდიკატორები, მაგალითად, უსაფრთხო და საფრთხის შემცველი ქმედებები და პოტენციურად საშიში ინციდენტების გათვალისწინება სავალალო შედეგის დადგომის თავიდან ასაცილებლად. BP-მ აგრეთვე აღინიშნა, რომ, 81-ე ობიექტზე, სადაც პერსონალის კომპეტენციასთან ან პროცედურების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები აღმოაჩინეს, თავადვე იმოქმედეს ამ ნაკლოვანებების აღმოსაფრხველად.

BEJV -მ აღნიშნა, რომ, როგორც წესი, ისინი ატარებენ მკაცრ პოლიტიკას უსაფრთხოების, ჯანმრთელობასა და დასაქმების საკითხებთან მიმართებაში. BEJV-მ მიუთითა, რომ მათ საკმარისი რესურსი დაუთმეს მომჩივნის პრეტენზიების განხილვას. BEJV-მა განაცხადა, რომ მან, აგრეთვე გამოიძია ბრალდებები გადაუხდელი ხელფასის, დასაქმების არასამართლიანად შეწყვეტისა და უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ (რომლის შესახებაც მომჩივანმა უშუალოდ BEJV-ს აცნობა საქმეში CAO-ს ჩართვამდე) მან დაადგინა, რომ არცერთი ბრალდება არ იყო დასაბუთებული. BEVJ-მ აღნიშნა, რომ ორჯერ შეხვდა მომჩივანს მის მიერ წამოჭრილ პრობლემებზე რეაგირების მიზნით.

BEJV-მ მიუთითა, რომ CAO-ს ამ საჩივართან დაკავშირებით იურისდიქცია არგააჩნია და განაცხადა, რომ ისინი აღარ აპირებენ CAO-სთან ამ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთობის გაგრძელებას.

[10] CAO. 2018. *CAO-ს შეფასების ანგარიში: საჩივარი MIGA-ს TANAP-ისპროექტის (#13661) SCP-ის საქმიანობასთან დაკავშირებით, ვალე, საქართველო.* ხელმისაწვდომია: https://goo.gl/y6TEqL

MIGA-ს გარანტია

MIGA-ს აქვს ნებართვა გასცეს 950 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის არააქცეფტური ფინანსური გარანტია 15 წლის ვადით იმ კომერციულ ბანკებზე რომელიც კრდიტს გასცემს SGC-ის TANAP-ის პროექტში თავისი წილის დასაფინანსებლად. [11] MIGA-ს მიერ დამტკიცებული გარანტია ფარვს SGC-ის მიერ კომერციულ ბანკებთან საკრედიტო შეთანხმების ფარგლებში გადაუხდელობისა და აზერბაიჯანის მთავრობის მხრიდან მისი სახელმწიფო გარანტიის შეუსრულებლობის რისკებს. MIGA გარანტიას აძლევს პირდაპირ კრედიტორებს. კრედიტორები, თავის მხრივ, ათანხმებენ სესხის პირობების SGC-თან. MIGA-ს გარანტია არ ქმნის პირდაპირ სახელშეკრულებო ურთიერთობებს SGC -თან. თუმცა გარანტია შეიცავს რამდენიმე პირობას, რომელიც სასესხო ხელშეკრულების მეშვეობით კრედიტორების გავლით გადადის SGC-ზე. ეს შეთანხმებები მოიცავს გ&ს დებულებებს, გარემოსდაცვით სახელმძღვანელოს და გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას.

MIGA-ს გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის რეზიუმემ (ESRS) დაასკვნა, რომ SCPX -ის მიერ გ&ს-ს შესრულება არის MIGA-ს გარანტიის ფარგლებს გარეთ. ESRS -ის განცხადებით, "MIGA-ს გ&ს მოთხოვნები არ ვრცელდება ასოცირებულ სუბიექტებზე. ამ პროექტებს ახორციელებენ მესამე მხარეები, რომლებზეც TANAP-ს არ გააჩნია ოპერატიული კონტროლი ან ბერკეტი. ეს თანხვედრაშია როგორც ფუნქციონირების პირველ სტანდარტთან, ასევე IBRD-ის მიდგომასთან ამ პროექტში ასოცირებული სუბიექტების მიმართ.[12] "ქვემოთ მოყვანილი ნახ. 1 გვიჩვენებს MIGA-ს გარანტიის კონტექსტს TANAP და SCPX პროექტებთან და SCPX-ის ქვეკონტრაქტთან, ENKA -თან მიმართებით.

[11]MIGA. შეთავაზებული გარანტიის მიმოხილვა*: TANAP-ი.*
[12]MIGA. 2017. *გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვა: TANAP-ი.*

ნახატი 1: MIGA-ს გარანტიის კონტექსტი TANAP-თან, SCPX-თან& ENKA-სთან მიმართებით[13]



[13]ინფორმაცია TANAPის პროექტის მფლობელობის შესახებ ამოღებულია IBRD-ის 2016 წლის პროექტის შეფასების დოკუმენტიდან [1665], რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://goo.gl/FiHbTBდა SOCAR Midstream-ის ვებგვერდზე, "TANAP: ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზის სადენი (TANAP)," ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://goo.gl/3ftrFe. ინფორმაცია SCPX-ის პროექტის მფლობელობის შესახებ ამოღებულია BP-ი აზერბაიჯანისვებგვერდიდან, "მახრეთ კავკასიის საენი", ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KMutFp; აზიის განვითარების ბანკის 2016 წლის „პრეზიდენტის ანგარიში და რეკომენდაციები დირექტორთა საბჭოს: შახ დენიზის გაზის ველის გაფართოების პროექტის შეთავაზებული ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიის შესახებ (აზერბაიჯანი)" *[პროექტის ნომერი: 49451-002]*, ხელმისაწვდომია: https://goo.gl/Bx1yhM, და EBRD-ის ვებგვერდი, "SOCAR – სამხრეთ კავკასიის გაზის სადენი," ხელმისაწვდომია: https://goo.gl/YV9ArH. ინფორმაცია TANAP- ის პროექტის მფლობელობის შესახებ ინფორმაციას იღებს IBRD- ს 2016 წ. პროექტის შეფასების დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია https://goo.gl/FiHbTB და SOCAR Midstream ვებსაიტზე, "TANAP: ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზის სადენი (TANAP)", რომელიც ხელმისაწვდომია https://goo.gl/3ftrFeS. SCPX პროექტის მფლობელობის შესახებ ინფორმაცია მიიღება BP აზერბაიჯანიდან, "სამხრეთკავკასიის მილსადენი", რომელიც ხელმისაწვდომია https://goo.gl/KMutFp- ზე; აზიის განვითარების ბანკის 2016 წლის ანგარიში და დირექტორთა საბჭოს რეკომენდაციები: შემოთავაზებული ნაწილობრივი საკრედიტო გარანტია შაჰ-დენიზის გაზის საველე გაფართოების პროექტი (აზერბაიჯანი) [პროექტისნომერი: 49451-002], ხელმისაწვდომია https://goo.gl/ BX1yhM და EBRD- ის ვებსაიტებზე, "სოკარი-სამხრეთკავკასიის გაზსადენი", ხელმისაწვდომია: https://goo.gl/YV9ArH - ზე.

MIGA-ს პოლიტიკა მესამე მხარეებთან ასოცირებულ სუბიექტებთან მიმართებით

MIGA-ს 2013 წლის გარემოს დაცვითი და სოციალური მდგრადობის პოლიტიკა ითვალისწინებს მაღალი რისკის პროექტების განხორციელებას ფუნქციონირების სტანდარტების (ფს) შესაბამისად.[14]რისკის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით იქ მოცემულია პირობა, რომ როდესაც პროექტში ჩართულია IFC-ი ან IBRD-ი ან მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG), "MIGA-ს შეუძლია იხელმძვანელოს და გამოიყენოს ამ ორგანიზაციების გარემოსდაცვითი სტანდარტები, გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის წესები და / ან მონიტორინგი , WBG-ის საერთო ან ერთობლივი ინსტრუქციების შესაბამისად. "[15]

MIGA-ს 2013 წლის ფუნქციონირების სტანდარტები მოითხოვს, რომ მოხდეს გ&ს რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება პროექტის გავლენის არეალში. ეს მოიცავს რისკებსა და ზემოქმედებებს დაკავშირებულ (ასოცირებულ) ობიექტებთან მიმართებაში, რომელიც "არ არის დაფინანსებულ ეროგორც პროექტის ნაწილი და ვერ აშენდებოდა ან გაფართოვდებოდა, რომ არა ეს პროექტი და რომლის გარეშეც ეს პროექტი არ იქნებოდა ეფექტური".[16]

იმ შემთხვევებში, როდესაც ასოცირებულ ობიექტებზე გ&ს-თან დაკავშირებული საკითხების მართვაზე მესამე მხარეებია პასუხისმგებელი, MIGA-ს ფუნქციონირების სტანდარტებში წერია, რომ: "ეფექტური ESMS [გარემოს დაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემა] გასაზღვრავს როგორც ჩართულ ორგანიზაციებს, ასევე მათ როლს, კლიენტისთვის შესაბამის რისკებს და მესამე მხარეებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს, რაც დაგვეხმარება ფუნქციონირების სტანდარტების შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების მიღწევაში."[17]ფუნქციონირების სტანდარტები ასევე მოითხოვს რომ კლიენტებმა "*ეს რისკები და გავლენა მოაგვარონ კლიენტის მხრიდან მესამე მხარეების მიმართ არსებული კონტროლისა და გავლენის პროპორციულად და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით*"[18]

თუ MIGA-ს გარანტიის მფლობელი (MIGA-სკლიენტი[19]) წარმოადგენს კრედიტორს, რომელიც არ აკონტროლებს პროექტის საწარმოს, MIGA მოითხოვს, რომ კლიენტმა, შემლებისდაგვარად: *"(i) საკრედიტო შეთანხმებაში ან პროექტის საწარმოსთან სხვა სახელშეკრულებო დოკუმენტში ჩადოს დებულება, რომელიც მოითხოვს MIGA-ს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობას; და (ii) მყისიერად გააკონტროლოს პროექტის საწარმოს მხრიდან ამ დებულებების შესრულება"* [20] MIGA-ს მდგრადობის პოლიტიკაში

[14] MIGA. 2013. *გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის პოლიტიკა, პარაგრაფი 3.*ხელმისაწვდომია: https://goo.gl/QZzbbN.
[15] MIGA. 2013. *გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის პოლიტიკა, პარაგრაფი 6.*
[16] MIGA. 2013. "ფუნქციონირების სტანდარტი 1" ფუნქციონირების სტანდარტი *გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის შესახებ*
გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობა. ფს1, პარაგრაფი 8. ხელმისაწვდომია: https://goo.gl/abeZyh.მე-15 სქოლიოში დეტალურადაა ახსნილი, რომ ასოცირებული სუბიექტი შეიძლება იყოს რკინიგზა, ელექტროსადგურები ან გადამცემი ხაზები, სადენი, ნავთობსადენი, სისტემები და ლოგისტიკური ტერმინალები."
[17] MIGA. 2013. PS1, პარაგრაფი 2.
[18] MIGA. 2013. PS1, პარაგრაფი 9.
[19] MIGA-ს 2013 წლის*პოლიტიკა გარემოსდაცვით და სოციალური მდგრადობის შესახებ*(პარაგრაფი 2, სქოლიო 1) განსაზღვრას, რომ MIGA-ს კლიენტი არის "პროექტის საწარმო ან გარანტიის მფლობელი (ეს ტერმინები ოფიციალურადაა განმარტებული MIGA'-ს კონტრაქტში გარანტიის შესახებ), ან MIGA-ს საკრედიტო გარანტიით აღებული კრედიტის ნებისმიერი მსესხებელი., კონტექსტის შესაბამისად. პროექტის საწარმო ფუნქციონირების სტანდარტების შესასრულებლად სათანადო ზომებს იღებს."
[20]MIGA. 2013. *პოლიტიკა გარემოსდაცვით და სოციალური მდგრადობის შესახებ,*პარაგრაფი 2, სქოლიო 1.

განსაზღვრულია, რომ როდესაც კლიენტს არ აქვს კონტროლი ან გავლენა მესამე მხარის ქმედებებზე, MIGA განსაზღვრავს მართვადია თუ არა პროექტის რისკები და რა პირობებში. გარკვეული რისკების არსებობის პირობებში MIGA-მ თავი უნდა შეიკავოს შემოთავაზებული პროექტის მხარდაჭერისაგან.[21]

MIGA-სგ&ს-ის სათანადო შესრულების მიმოხილვა

MIGA-ს ჩართვამდე, IBRD-მა განახორციელა TANAP-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის სათანადო შესრულების მიმოხილვა.

IBRD -მა დაადგინა, რომ SCPX იყო TANAP-თან ასოცირებული ობიექტი, მაგრამ მოითხოვა და მიიღო აღმასრულებელი დირექტორთა საბჭოსგან "ასოცირებული პროექტებისთვის", მათ შორის SCPX-ისთვის, უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკაზე გამონაკლისის დაშვება. [22] გამონაკლისის დაშვების საფუძველი PAD-ში ახსნილია იმით, რომ "ბანკს ან საერთოდ არ გააჩნია,ან ძალზედ მწირი მოლოდინი აქვს იმისა, რომ:

(a) მისთვის სრულად ხელმისაწვდომი იქნება ასოცირებულ პროექტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

(b) საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს ასოცირებული პროექტების ზედამხედველობაში; ან

(c) *საშუალება ექნება, შეათანხმოს საკანონმდებლო ჩარჩო< რომელიც ბანკს საშუალებას მისცემს ასოცირებული პროექტების ფარგლებში საგარანტიო მექანიზმებთან შეუსაბამობის შემთვევაში, გამოიყენოს დაცვითი ზომები, რაც აუცილებელია ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალურო პოლიტიკის სათანადოდ გგასატარებლად. "*[23]

PAD-ი აღნიშნავს, რომ ზემოთ ხსენებული დასკვნები ეფუძნება შემდეგს:

(ა) ასოცირებული პროექტების საკუთრების სტრუქტურები განსხვავდება TANAP-ისგან. BOTAŞ არ არის ამ სამი ასოცირებული პროექტიდან რომელიმეს აქციონერი. SGC უმცირესი წილის მფლობელია, სადაც ფლობს SD7 და SCPx-ის 6.7%, TAP-ში-20%;

(ბ) ბანკი არ მონაწილეობს რომელიმე ასოცირებული პროექტის დაფინანსებაში;

c) სამი ასოცირებული პროექტიდან ორი განხორციელების ბოლო ეტაპზეა, ხოლო მესამე ასოცირებული პროექტის ფარგლებში მშენებლობა ახალი დაწყებულია; და

(d) მიუხედავად იმისა, რომ ბანკს ჰქონდა წარმატება ასოცირებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით,ბანკს განუმარტეს, რომ

---

[21] MIGA. 2013. *პოლიტიკა გარემოსდაცვით და სოციალური მდგრადობის შესახებ, პარაგრაფი 3.*ხელმისაწვდომია:https://goo.gl/QZzbbN.

[22]IBRD-იმ მოითხოვა გამონაკლისის დაშვებაOP/BP-ის 4.01 (გარემოსდაცვითი შეფასება), 4.04 (ბუნებრივი გარემო), 4.36 (ტყეები), 4.09 (მავნებლების მართვა), 4.11 (ფიზიკური და კულტურული რესურების), 4.12 (იძულებითი გადასახლება) და 4.37 (დამბების უსაფრთხოება).გამონაკლისის დაშვების მოთხოვნა არ შემოსულა OP/BP-ის 4.10 (მკვიდრი მოსახლეობა) ან OP/BP 7.60 (სადაო ტერიტორიები), ვინაიდან ამ პოლიტიკასთან შეხება არ ყოფილა. ინფორმაციისთვის იხილეთ: IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 113, სქოლიო 4.

[23] IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 113.

შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა შეუძლებელია სხვა პროექტების კონფიდენციურობის გათვალისწინებით.[24]

PAD-ი ასევე აღნიშნავს, რომ "TANAP-სა და ამ სხვა ინვესტიციებს შორის ფუნქციონური და კონცეფტური კავშირის გათვალისწინებით", [25] IBRD-მა განახორციელა ამ ასოცირებული პროექტის ფარგლებში პოტენციური რისკების დონისა და რისკების მართვის სისტემების შესაბამისობის შეფასება, მათ შორის საჯარო და ხელმისაწვდომი გარემოს დაცვითი და სოციალური გავლენის მიმოხილვა (ESIA-ები). IBRD-ის მიმოხილვამ დაასკვნა, რომ "ასოცირებული პროექტების ESIA-ები ზოგადად შეესაბამება ბანკის უსაფრთხოების ზომებს და მაღალი ხარისხისაა". [26] შეფასებამ "არ აღმოაჩინა მნიშვნელოვანი პრობლემები შესაბამისობის საკითხებთან", რაც იმას ნიშნავს, რომ ასოცირებული პროექტები "ზომიერი რისკის მატარებელია, კარგად დაგეგმილი და შესრულებულია ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის პოლიტიკის მოთხოვნების მსგავსი პრიციპების მიხედვით."[27]

MIGA-ს გ& სსაკითხების წინასაინვესტიციო კომპლექსურმა შემოწმებამ დაადასტურა, რომ IBRD-ის საკუთარი გ& ს საკითხების წინასაინვესტიციო კომპლექსური შემოწმება სათანადო დონისა და მასშტაბისაა იმისათვის, რომ MIGA-მ ნებართვის გაცემისას ინფრომირებული გადაწყვეტილება მიიღოს. PS-ის დებულებების საფუძველზე, ასოცირებულ ობიექტებთან დაკავშირებულ რისკებსა და ზემოქმედებებზე რეაგირება უნდა მოხდეს "მესამე მხარის მიმართ კლიენტის კონტროლისა და გავლენის შესაბამისად" [28]. MIGA-ს დამტკიცების პროცესი არ ითვალისწინებდა IBRD-ს მსგავსი დაცვის გარანტიას.

კონტროლისა და გავლენის განსაზღვრა

MIGA-მ გამოიკვლია SGC-ის მხრიდან TANAP-ის ასოცირებულ ობიექტების მიმართებით კონტროლის საკითხი. (SCPX-ის ჩათვლით). MIGA-ს მიმოხილვისთვის მნიშვნელოვანი იყო SGC-ის უმცირესი წილის მფლობელი აქციონერების პოზიციის დადგენა ყველა ასოცირებულ ობიექტზე. კერძოდ, SCPX-სთან მიმართებაში SGC მხოლოდ 6.7% -იან წილს ფლობს და შესაბამისად SCPX ოპერაციები მის კონტროლს არ ექვემდებარება. MIGA-მ აღნიშნა, რომ 81-ე ობიექტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და ENKA პროექტის ამ ობიექტზე აღარ იყო აქტიური.

MIGA აცხადებს, რომ მან შეისწავლა SGC-ის გავლენის საკითხი TANAP-ის პროექტთან დაკავშირებულ ობიექტებზე, სხვა IFI-ებთან კოორდინაციის თვალსაზრისით, თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით.[29] MIGA-მ აღნიშნა, რომ IFI-ების

[24] IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 114.
[25] IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 115.
[26] IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 115.
[27] IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 116.
[28] MIGA. 2013. PS1, პარაგრაფი 9.
[29] IBRD. 2016. PAD 1665, პარაგრაფი 116. PAD-ი მიუთითებს, რომ *"ბანკის გუნდმა უნდა უზრუნველყოს კოორდინირება სხვა IFI-ებთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით"* (პარაგრაფი116). აზიის განვითარების ბანკმა, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპულმა ბანკმა, და ევროპის საინვესტიციო ბანკმა გამოთქვეს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის სურვილი TANAP-ისა და ასოცირებული პროექტების განხორციელებისას. MIGA აღნიშნავს, რომ SGC-მა დაადასტურა მისი მხარდაჭერა IFI-ებს შორის თანამშრომლობის მიმართ.

კოორდინაცია SCPX-ზე გავლენის მქონე არ იქნება, რადგან პროექტის მხარდაჭერაში სხვა IFI-ები არ მონაწილეობენ.

MIGA-მ აგრეთვე აღნიშნა, რომ წინასაინვესტიციო ანალიზის პროცესში მას SCPX-თან არ უმუშავია. MIGA ასევე აცხადებს, რომ SGC-საგან არ მოითხოვდა TANAP-ის პროექტის ESMS-სთან ასოცირებული სუბიექტების მიერ გამოწვეული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზში PAD-ის სახით.

CAO აღნიშნავს, რომ PAD-ში ასოცირებული ობიექტების-ის განხილვის გარდა, MIGA-მ არ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც შეიცავს SGC-თან ან TANAP-თან ასოცირებულ ობიექტებზე პოტენციური ზემოქმედების განხილვას ან ანალიზს, მათ შორის SCPX-ისას.

MIGA-ს არ ჰქონია კავშირი TANAP-ის პროექტის აქციონერებთან (სგგ-ს გარდა), ან მისი შესრულების სტანდარტების ასოცირებულ ობიექტებზე გავრცელების შესახებ, არც TANAP-თან და მასთან დაკავშირებულ ობიექტებს შორის ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით", შესრულების სტანდარტებთან შესაბამის გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების მიღწევის მიზნით" [30]. MIGA-ს არ ჩაუტარებია იმ პირობების ანალიზი, როცა მესამე მხარის რისკები, მათ შორის ასოცირებული ობიექტებისგან მომდინარე, მართვადი იქნებოდა და არ უმსჯელია, იმის შესახებ, ხომ არ არსებობდა ისეთი რისკი, რის გამოც MIGA-ს თავი უნდა შეეკავებინა პროექტის მხარდასაჭერისგან.[31]

CAO აღნიშნავს მსგავსებებს TANAP-ის და SCPX-ის პროექტების საკუთრების სტრუქტურებს შორის. ამასთანავე, SGC და BP უშუალოდ მონაწილეობენ TANAP-ის და SCPX-ის პროექტებში (იხილეთ ნახატი 1 ზემოთ). როგორც CAO აღნიშნავს, აზერბაიჯანის მთავრობა და კორპორატიული ჯგუფები, რომლებიც TANAP-ის (SOCAR, BP და TPAO) აქციების მფლობელები არიან, აგრეთვე ფლობენ SCPX-ში წილს, რაც ერთობლივად 64.5%-ს შეადგენს.

CAO აღიქვამს "გავლენის" კონცეფციას ისე, როგორც ეს მიღებულია ფუნქციონირების (შესრულების) სტანდარტებში, რაც გულისხმობს იმას, რომ მას შეუძლია გავლენა იქონიოს ურთიერთობებზე MIGA-ს გ&ს მოთხოვნებთან შეესაბამისი შედეგების მისაღწევად.

ამ კონტექსტში, CAO-ს გააჩნია კითხვები MIGA-ს მიერ ჩატარებული ანალიზის სანდოობის მიმართ, რომლის მიხედვითაც, არ არსებობდა კრედიტორების ან TANAP-ის აქციონერების მეშვეობით SCPX-ზე, ასოცირებულ სუბიექტზე გავლენის მოხდენის ან მათთან ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობის პერსპექტივა, რაც ხელს შეუწყობდა შესრულების სტანდარტებთან შესაბამისი შედეგების მიღწევას.

IV. CAO-ს დასკვნა

CAO-ს შესაბამისობის შეფასების მიზანია უზრუნველყოს ის, რომ შესაბამისობის შემსწავლელი აუდიტი დაიწყოს მხოლოდ იმ პროექტებთან მიმართებით, სადაც გ&ს შედეგებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები არსებობს ან კიდევ წარმოადგენს MIGA-სთვის სისტემური მნიშვნელობის საკითხს. აუდიტის დაწყების საკითხის

[30] MIGA. 2013. PS1, პარაგრაფი 2.
[31] MIGA. 2013. PS1, პარაგრაფი 21.

გადაწყვეტისას, CAO-მ უნდა გაიაზროს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, საჩივარში აღწერილი გ&ს პრობლემების მასშტაბი, MIGA-ს მიერ ჩატარებული გ& ს შესრულების წინასწარი განხილვის შედეგები, MIGA-ს მოთხოვნების ადეკვატურობის მიმართ კითხების არსებობა, და უფრო ზოგადი შეფასება იმისა, თუ რამდენად მიზანშეწონილია არსებულ გარემოებებში შესაბამისობის აუდიტის ჩატარება.

აღნიშნულ საქმეში, მომჩივანი გამოხატავს შეშფოთებას SCPX-ის მშენებლობის დროს სამუშაო პირობებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანის საჩივრის მიღმა მტკიცებულებები შეზღუდულია, ეს საკითხები პოტენციურად სისტემურ და არსებით ხასიათს ატარებს.

MIGA-ს მიერ SCPX აღიარებულია როგორც TANAP-თან ასოცირებული სუბიექტი- პროექტი, რომლისთვის გარანტიის მიცემის უფლება დაუმტკიცდათ. თუმცა, MIGA-მ დაადგინა, რომ მისი გ&ს მოთხოვნები არ ვრცელდება SCPX-ზე, რაც ეფუძნება დასკვნას იმის შესახებ, რომ SCPX-ს მართავს მესამე მხარეები, რომელზეც TANAP-ს არ გააჩნია ოპერატიული კონტროლი ან ბერკეტი. SCPX-ისა და TANAP-ის საკუთრების სტრუქტურების გათვალისწინებით, CAO-ს აქვს კითხვები იმ ანალიზის სანდოობაზე, რომელმაც MIGA ამ დასკვნამდე მიიყვანა.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, CAO-მ გადაწყვიტა, რომ არ წამოიწყოს შესაბამისობის აუდიტი ამ საჩივარზე საპასუხოდ. ამ დასკვნის გამოტანისას, CAO-მ გაითვალისწინა შემდეგი: პირველ რიგში ის, რომ სამშენებლო სამუშაოები (საჩივრის საგანი), დასრულდა და ENKA აღარ მუშაობს SCPX-ზე; მეორე, რომ მომჩივანის მიერ აღნიშნულ პრობლემებს ადგილი ჰქონდა, მაშინ როცა MIGA-ს პროექტის გარანტია ჯერ არ ჰქონდა გაცემული. და მესამე, რომ არსებული მტკიცებულებები არ გულისხმობს იმას, რომ ზემოქმედება სავარაუდოდ იმდენად სერიოზული და სისტემური ხასიათისაა, რომ MIGA-ს თავი უნდა შეეკავებინა შემოთავაზებული პროექტის მხარდასაჭერისაგან მესამე მხარისათვის შესაძლო რისკის გათვალისწინებით. ასეთ ვითარებაში, CAO-მ დაადგინა, რომ შესაბამისობის აუდიტი არ იქნებოდა ამ საკითხზე ადეკვატური რეაგირება.